პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 პარასკევი 25 აპრილი № 97 (16223) ფასი 2 კაპ. 1975

რჩეულნი — დეპუტატობის კანდიდატებად!

საბჭოთა კავშირის მოქალაქეო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საარჩევნო კამპანიაში! ავირჩიოთ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში

ხალხი ასახელებს დიდსეულთ

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩადგება ქვეყანაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. ეს დიდმნიშვნელოვანი კამპანია ეწყობა დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის სახელოვანი გამარჯვების 30-ე წლისთავის წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავის წელს, რევოლუციისა, რომლის ქარცეცხლში იშვა საბჭოები — საბჭოთა ხელისუფლების პირველსახე. 1976 წლის 24 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი, მას შემოქმედებითი ენერგიის ახალი მოზღვავება მოჰყვა.

24 აპრილს დაიწყო საარჩევნო კამპანიის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. მთელ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნებისა და შეკავშირების ატმოსფეროში დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელება. მშრომელნი დიდ ნდობას უწევენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ყველაზე ავტორიტეტულ და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულ წარმომადგენლებს.

რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ასახელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ

დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დარესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. 24 აპრილს ეორთულოვნებისა და დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია ბადაწყვეტილებამ მომავალი წლის თებერვალში სკკპ მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი პირველი არჩევნებისწინა კრებები.

წინასაარჩევნო კრებების მონაწილენი მხურვალედ იწონებენ მშრომელთა — კომუნისტური პარტიის ბრძოლულ სამშენო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტს, მისი პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას. პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებისათვის, აცხადებენ, რომ მტკიცედ თქვა ადადგენილი ძალ-ონით არ დაშურონ მისასრულონ ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის ფაღალანი და მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. მისცენ სამშობლოს 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილ კრებები ითქმება უფრესად საქმიან, შემოქმედებით ვითარებაში. კრებების მონაწილენი, რომლებიც აჯამებენ წინა არჩევნების შედეგს განვლილ პეროდში გაწეული მუშაობის შედეგებს, კრიტიკულად აფასებენ მიღწეულ წარმატებებს, სახავენ იმ ახალი დიდი ამოცანების, წარმატებით შესრულების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას. ეს კრებები ყველგან ცხადყოფს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას.

დეპუტატობის პირველ კანდიდატთა შორის საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად დასახელეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მოვაწრის ხელმძღვანელები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის ყველაზე ავტორიტეტანი, კომუნიზმის საქმისა და ხალხის ინტერესების ერთგული წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც ღირსი არიან ასრულებდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მაღალ მოვალეობებს.

საზეიმო ვითარებაში, დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაარა არჩევნებისწინა კრებებმა, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას თბილისის, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში.

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი მოწინავე საწარმოა. მისი კოლექტივი არაერთხელ ყოფილა მნიშვნელოვანი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორი. არჩევნებისათვის მზადების საწარმოს კოლექტივი აღნიშნავს ახალი შრომითი წარმატებებით. ცნობამ პარტიის XXV ყრილობის მოწვევის შესახებ ელმავალმშენებელთა შორის ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. მათ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. გადაწყვეტილია შემხვედრი გეგმისა და ადრე ნაკისრი დამატებითი სოციალისტური ვალდებულებების გადაკრბებით წლის ბოლომდე ეამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 0,5 პროცენტით, მიაღწიონ იმას, რომ ეშ-186 ელექტროშტაბელერებსა და ელ-10 სამგზისტრალო ელმავლებს მიენიჭოთ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. წარმატებით მიმდინარეობს ახალი სახეობის პროდუქციის ათვისება.

საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა არჩევნებისწინა კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქართველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რ. მზარეულმა.

ინფორმაცია არჩევნებისათვის მზადების შესახებ გაკეთა სოციალისტური შრომის გმირმა, ზეინკლმა ვ. პაპინაშვილმა. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

— ჩვენს კოლექტივს, თქვა მან შემდეგ, — წილად ხვდა დიდი პატივი დასახელოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. ვ. პაპინაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამ წინადადებას „კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ორატორმა ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოღვაწეობის შესახებ, მის დაუცხრომელ საქმიანობაზე, რომ ელმავალმშენებელთა კოლექტივისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოარავმა კ. ორაგველიძემ, შიგმჩარხავმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ნ. გომარელმა.

სიტყვა ეძღვნა ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელს გ. მეტონიძეს. მან წამოაყენა წინადადება, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამავე ოლქში დასახელონ მოწინავე ახალგაზრდა ზეინკლი ირაკლი დიმიტრის-ძე გელაშვილი. მან ბულბულივით დაიწყო თავისი ამხანაგი, რომელიც მასთან ერთად შრომობს საწარმოს საამაყო საამქროში.

ი. დ. გელაშვილის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ზეინკლთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. ვარდიძემ, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ე. კაკრიშვილმა, ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ე. ამირაგოვმა. მათ განაცხადეს, რომ გელაშვილი არის მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენელი, საწარმოს მოწინავე მუშა, რომელიც უკვე 1976 წლის ანგარიშში მუშაობს. იგი სანიმუშოებით უხმარებს ახალგაზრდობას თავის დიდ გამოცდილებას, დიდი სამამულო ომის მონაწილე, გელაშვილი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით შრომითს ფრონტზე მიღწეული წარმატებებისათვის. მის მკერდს ამშვენებს სამშობლოს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქში დასახელონ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** და **ირაკლი დიმიტრის-ძე გელაშვილი.**

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათებზე: თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო-საქართველოს კრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი.

ბლ. ბინუშვილის ფოტო.

ბოსკოვი

დედაქალაქის საანგარიშო-ანაგრეფის მანქანების ქარხანა. საწარმოს ათასზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე შეეკრება არჩევნებისწინა კრებაზე, რათა დასახელებინათ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

კრება გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ბ. ი. ლეგაოვმა. სიტყვა ეძღვნა ელექტრომემონტაჟის, კომუნისტური შრომის დამკვრელს პ. პ. პრელენცევს.

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა მან, — უსაზღვროდ ენდობიან თავიანთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ბრძოლულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ჩვენი კოლექტივის სახელით შემოქმედ წინადადება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში დასახელოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

— ბუკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამ წინადადებას.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრების გზის შესახებ. ჩვენ ყველანი კარგად ეცნობთ ლეონიდ ილიას-ძეს, ხაზი გაუსვა მან, როგორც ერთგულ ლენინელს, რომლის მთელი ცხოვრები პარტიისადმი, ხალხისადმი. კომუნიზმის დიდი იდეალებისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია. ორგანიზატორული ნიჭით, პარტიული პრინციპულობით, ადამიანებისადმი გულისხმიერი, ყურადღებიანი დამოკიდებულებით მან დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვა მშრომელებს შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დიდ პოსტზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უდიდეს მუშაობას ეწევა კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინური კურსის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ლ. ი. ბრეჟნევი მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლია, მას დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში. სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის თანამიმდევრულ განხორციელებაში.

საბჭოთა ადამიანები, მსოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა განსაკუთრებით დიდ შეფასებას აძლევენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ენერგიულ და თავდადებულ მოღვაწეობას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შემდგომი შეკავშირების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, როგორც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი რუსეთის ფედერაციის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. უდიდეს მზრუნველობას იჩენს დიდაქალაქ მოსკოვისათვის.

დარწმუნებული ვარ, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დასახელებას მხურვალედ დაუჭერს მხარს ჩვენი ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა მშრომელი.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დასახელების შესახებ ჰ. ჰ. პჩელინცევის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ხარატმა ს. ფ. გუსკოვმა, ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილემ ი. ა. შელუბაევმა, მუშა ლ. ი. ნეჩაევამ, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. კორიზნომ, ქარხნის დირექტორმა ვ. ი. სემენშკინმა.

კრებამ ერთხმად დაადგინა დასახელონ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესაბებ გულთბილი, გულითადი სიტყვებით ითქვა ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის წინასაარჩევნო კრებაზე.

კრება გახსნა ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა, ლაბორატორიის გამგემ ა. ვ. მიხალეინმა. მან აღნიშნა, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესს საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. 24 აპრილს ეორთულოვნებისა და დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია გადაწყვეტილებამ მომავალი წლის თებერვალში სკკპ მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი პირველი არჩევნებისწინა კრებები.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ბ. ლიაკიშევმა თავის გამოსვლაში სიამაყე გრძნობით ილაპარაკა ჩვენი საბჭოთა ეკონომიური ძლიერების ზრდაზე, ადამიანებზე, რომლებიც უდიდესი სიმტკიცითა და თანამიმდევრულობით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

— რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებ, — თქვა მეცნიერმა, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილ მოღვაწეს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ამ წინადადებას შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მეცნიერმა დამსწრეთ შეახსენა, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დაიბადა მეტალურგი მუშის ოჯახში, შრომითი ცხოვრება 15 წლისამ დაიწყო. შემდეგ შევიდა ქალაქ დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ინსტიტუტში და ამავე დროს ზეინკლად მუშაობდა მეტალურგიულ ქარხანაში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამავე ქარხანაში დაიწყო მუშაობა ინჟინრად. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა.

შემდეგ გამოვიდნენ ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე ი. ს. ჩუდინი, ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ტ. ბორისოვი, უფროსი მეტალგელე, ექსპერიმენტული ქარხნის სრულიად საკავშირო ალკა ბიუროს წევრი ირინე ზვალიუსკინა, ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ი. ნ. ბოლოკოვი. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

კრებამ ერთხმად დაადგინა დასახელონ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

23 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს 1975 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობასა და რკინიგზის ტრანსპორტზე სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების, მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვისა და ტრანსპორტის ტვირთბრუნვის 1975 წლის პირველი კვარტალის გეგმა.

პირველ კვარტალში სამრეწველო წარმოების ზრდამ 7,5 პროცენტი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 6,7 პროცენტის ნაცვლად. გეგმის გადამეტებით წარმოებული და რეალიზებულია 2 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 6 პროცენტით გაიზარდა წლიური გეგმით გათვალისწინებულ 5,7 პროცენტთან შედარებით. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 3,4 პროცენტით გადიდდა. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე აშენდა 6,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ საბჭოთა აღმასკომებს, ეკონომიკურ რაიონებს, ეკონომიკურ ადმინისტრაციებს, ინჟინერ-ტექნიკურ საზოგადოებებს, ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეკონომიკურ ფაკულტეტ

ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში

(გაგრძელება)

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ გაიმართა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი არჩევნებისწინა კრება, რომელიც მიძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების საკითხს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრების სამჭედლოა. მისი აღზრდილები წარმატებით შრომობენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

კრება გახსნა უმაღლესი სასწავლებლის პარტკომის მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუტის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს მომავალი არჩევნებისათვის მზადებაში. მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო კვალიფიციური აგიტატორები.

ტრიბუნაზეა პროფესორი ნ. თევზაძე. მან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით წინადადება წამოაყენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინის მთელი ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას ახმარს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. იგი დაუცხრომლია ზნენაჭი შრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის სრულყოფისათვის. თავისი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობით მან მშრომელთა ნდობა დაიმსახურა.

— ვ. ბ. ქემაშვილი, — თქვა მან, — ჩვენი საწარმოს კოლექტივში დიდი იერარქიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს. იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, პირველი კვარტალის გეგმა მან 110 პროცენტით შეასრულა. ვერა ქემაშვილს კარგად იცნობენ სხვა მონათესავე საწარმოებშიც. კოლეგები წარმატებით იყენებენ მის მოწონაუ გამოცდილებას. ვ. ბ. ქემაშვილი ეულისსმიერი ამხანაგი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

კრებაზე გამოვიდნენ საწარმოს ბუღალტერი მ. ქოიავა, კამვოლის წარმოების მუშა თ. გოგიშვილი, გადამხვევი მ. გობრონიძე, მაუდის წარმოების გამგე ვ. გამყრელიძე, საწარმოს დირექტორი რ. კუპრავა, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ თბილისის № 20 დიდუბის საარჩევნო ოლქში დასახელონ **ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი** და **ვერა ბათურის ასული ქემაშვილი.**

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, პროფესორები, მასწავლებლები, მოსამსახურეები შეიკრიბნენ, რათა ემსჭელათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების საკითხზე. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრების სამჭედლოა. მისი აღზრდილები წარმატებით შრომობენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

კრება გახსნა უმაღლესი სასწავლებლის პარტკომის მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუტის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს მომავალი არჩევნებისათვის მზადებაში. მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო კვალიფიციური აგიტატორები.

ტრიბუნაზეა პროფესორი ნ. თევზაძე. მან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით წინადადება წამოაყენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინის მთელი ძალ-ღონეს და ცოდნას ახმარს კომუნისტური პარტიის გეზის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის განვითარებასა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დოცენტმა გ. დემეტრაშვილმა და ინსტიტუტის თანამშრომელმა ც. მდინარაძემ მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

სიტყვა ეძლევა პროფესორ შ. ლომინაძეს. მან წინადადება წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩილ ამბროსის-ძე ძიძიგური.

წინადადებას ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბროდსკიმ, დ. თავხელიძემ, დოცენტმა ა. კოტრამ, ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თ. აბესაძემ. მათ აღნიშნეს, რომ ა. ა. ძიძიგური არის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომებისა და გამოკვლევების ავტორი, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მზრუნველი ამზრდელი. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ იგი სიხელით გაამართლებს დიდ ნდობას.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ თბილისის № 51 დელისის საარჩევნო ოლქში დასახელონ ალექსი **ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და **არჩილ ამბროსის-ძე ძიძიგური.**

გაიმართა ელექტრონულ-გამოსათვლელი აპარატურის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც განხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ვ. გაბუნიამ. მან წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საინსტრუმენტო სამაქროს მეხუთე გვნადი ალექსანდრეს-ძე კალინინი. საწარმოს მოწინავე მუშაკი კალინინი გეგმას სისტემატურად 130-140 პროცენტით ასრულებს, არის აგრეთვე სამაქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. ახალგაზრდა მუშამ სახელი გაითქვა როგორც კარგმა დამრიგებელმა. ახლა ხუთი კაცი მისი ხელმძღვანელობით ეუფლება მუშაობის მისეულ მოწინავე მეთოდებს. გ. ა. კალინინისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება — იგი მეხუთე თაობიგის მხეხავია.

კრებაზე გამოვიდნენ მექანიკური საამქროს ხარატი ა. კარასევი, საინსტრუმენტო საამქროს უფროსი ნ. გოგუა, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ე. ქვაჩახია, ქარხნის დირექტორის მოადგილობის შემსრულებელი ზ. ლომიძე, რომლებმაც მხარი დაუჭირეს დასახელებულ კანდიდატურას.

კრებამ დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 30 პისარევის საარჩევნო ოლქში დასახელონ **გენადი ალექსანდრეს-ძე კალინინი.**

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა თავის არჩევნებისწინა კრებაზე ერთხმად გადაწყვიტა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 55 ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქში დასახელონ კერამიკული ქარხნის ჩამომსხმელი **რაისა თევდორეს ასული შაბლევსკაია.**

ბორი. სოფელ ბერშუეთის კოლმეურნეობის წევრთა არჩევნებისწინა კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორის რაინის ოქლში დასახელონ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრეს-ძე ბერეკაშვილი.

ახალქალაქი. სოფელ დილისკის კოლმეურნეობის მოწინავე მეწველი **რანუშ ენოქის ასული ქოროიანი** სოფელ დილისკის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის რაიონის № 122 დილისკის საარჩევნო ოლქში.

საგარეჯო. გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში გამართულმა არჩევნებისწინა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საგარეჯოს რაიონის № 171 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწყემსი **ვალერიან ნიკოლოზის-ძე თედიაშვილი.**

აგიტპუნქტი მეშახტეთა კლუბში

საქმიანად ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მაღაროელთა ქალაქ ტყიბულში.

სტალინის სახელობის შახტის კლუბში, სადაც მიკრორაიონის აგიტპუნქტია მოთავსებული, მომდინარეობს დიდი მოსამზადებელი მუშაობა. აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს, არჩევნებ საგიტაციო-პროპაგანდისტულ ლიტერატურას საბჭოთა არჩევნების შესახებ, ინსტრუქციას აძლევენ 50 აგიტატორს, მეშახტეებთან მართავენ საუბრებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩეველის ხმა“.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): **ახალგაზრდა აგიტატორები დავით ჭასრაშვილი, მაგული ჭასრაშვილი, ნუნუ როინიშვილი და ლეო ნანიკაშვილი საარჩევნო უბანში მიდიან.**

გ. პერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსახსენებები, საუბრები

მახარაძე. (**საკ. კორ.**). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებსა და სამეცნიერო ორგანიზაციაში, აგრეთვე მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დღითიდღე ძლიერდება საგიტაციო-მასობრივი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით. ამჟამად 800-ზე მეტი აგიტატორი ეწევა აგიტაციას, განუმარტავს მშრომელებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ პრინციპებს. საუბრები ეწყობა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე.

ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის სხდომაზე სპეციალურად იმსჯელეს წინასაარჩევნო საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების საკითხებზე. ამ დღეებში აქ მოეწყო აგიტატორთა და ლექტორ-მომხსენებელთა შეკრება, რომელზეც მოხსენებით — „არჩევნები და იდეოლოგიურ მუშაობა ამოცანები“ — გამოვიდა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ელ. ბურჭულაძე. მეურნეობის აგიტპუნქტში (გამგე რ. თავაძე) ხშირად ეწყობა საინტერესო ღონისძიებანი მოწინავე აგიტატორთა და ლექტორ-მომხსენებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით.

აგიტატორები აქტიურობენ

ხელო. (**საკ. კორ.**). არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით საგიტაციო მუშაობა განსაკუთრებით გამოაცოცხლა რაიონის ერთ-ერთი უმორესი სოფლის — ხიხაძირის აგიტპუნქტმა (გამგე მ. ოშხელიძე). აქ გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა, ახალი ჟურნალ-გაზეთები, დიაგრამები. აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე, რომელიც ყოველკვირეულად ეწყობა, ადგენენ საგიტაციო მუშაობის კონკრეტულ გეგმას. აგიტატორები ნ. გაბაიძე, ნ. ხალვაში, მ. მიქელაძე და სხვები ახლა ყოველდღიურად აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან.

„კომუნისტის“ რეიდი

ლანჩხუთში რომ იკითხოთ, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის მთავარი შემოსავლის წყარო რომელია, ყველა გიპასუხებთ, მეჩაიეობაო. დიახ, მეჩაიეობა. ჩაი აპურებს ლანჩხუთელებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი ჩინებულად უვლიან პლანტაციებს და ქართველ მეჩაიეთა საერთო წარმატებებში ყოველ წელს დიდი წვლილი შეაქვთ. რაიონში სულ 14.620 ათასი მანეთი შემოსავლიდან მარტო ჩაიდან მიღებულია 10.380 ათასი მანეთი.

შარშანდელი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. მოკრიფეს და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 14.178 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 13.610 ტონისა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსავლიანობა. სამუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6.353 კილოგრამი ფოთოლი, რაც პირობას 1.153 კილოგრამით სჭარბობს.

აღნიშნული წარმატება თავისთავად არ მოსულა. ეს ლანჩხუთელთა ბეჯითი მუშაობის შედეგია. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რაიონის მშრომელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის სიუხვის საქმეში აიღონ ახალი მაჯნები, მოკრიფონ 14.520 ტონამდე ჩაის ნედლეული.

პირობის შესასრულებლად მთავარია ის, თუ როგორ მოემზადებიან ახალი სეზონისათვის. ეს დროულად გაითვალისწინეს რაიონში. სამეურნეო წლის დაწყებიდან შეუდგნენ მზადებას. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ბიუროს სპეციალურად იმსჯელა ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადების საკითხზე. დასახული ღონისძიებების შედეგად ყველგან ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს და რაზმავენ მშრომელებს უფრო მაღალი მაჯნების მისაღწევად 2.132 ჰექტარზე მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა ზუსტად აგროვადებში შესრულდა. ფაბრიკებში ფოთლის შეუფერხებლად გადაზიდვის მიზნით ლესის, აცანის, ეწრის, ჯრუჭუვეთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ლანჩხუთის, ნიგოითის საბჭოთა მეურნეობებში წესრიგში მოიყვანეს საპლანტაციო გზები.

ნიგოეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ჭ. გოგუშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ზ. გოგელია) წელს იბრძვის 422 ტონა ფოთლის მისაღებად. პლანტაციები ჩინებულად არის მოვლილი. წელს 20 ადგილას მოუწყვიათ ფოთლის მისაღები პუნქტი, ჩაის ნედლეულის გადასატანად შეეძინეს 400 ცალი ყუთი, შედეგენილი აქვთ გეგმაგრაფიკი. ყველამ იცის თავისი მოვალეობა.

რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. ღლონტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. შეწირული). მათ 392 ჰექტარი პლანტაცია აქვთ და აქედან შარავანდედიანია 94 ჰექტარი. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელს მეურნეობამ ჩინებული მოსავალი მიიღო, საშუალოდ ჰექტარზე 7.300 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაასხვეფა. სახელმწიფოს 137 ათასი მანეთი მოგება მისცეს. ცენტნერი ფოთლის წარმოება დაუჯდათ 51 მანეთი ნაცვლად 52 მანეთისა. წლეულს უფრო მეტი წარმატებებისათვის იბრძვიან. გადაწყვეტილი აქვთ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 7.800 კილოგრამი ფოთოლი, სახელმწიფოს ჩაბარონ 700 ტონა ჩაის ნედლეული.

პირობის შესასრულებლად აქამდე შეუდგნენ მუშაობას. ადგილად წესრიგში მოიყვანეს ლანტაციები გზები, საკმაო რაოდენობით შეეძინეს ყუთები, კალათები.

1.280 ტონა ფოთოლი მოკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩააბარა შარშან აცანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ღლონტი, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. ცანავა). მოწინავეებმა ლ. ჩხაძემ, ნ. ცირიკიძემ, ე. ჩხაიძემ თვითეულმა ჰექტარზე გადაყვანით 12-14 ათასი კილოგრამი ფოთოლი მიიღეს. წლეულს თვითეული 15 ათასი კილოგრამი ჩაისათვის იბრძვის. კოლმეურნეობამ იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 1.310 ტონა ფოთოლი. პლანტაციაში ბუჩქის ვეგეტაცია კარგია. ფოთლებს კრეფას მალე შეუდგებიან, ამისათვის ყოველმხრივ მზად არიან. ფაბრიკაში ნედლეულს ფერიფული მიმღები პუნქტები შესაკეთებელია. აკლიათ მუშა-ხელი, დანადგარები წყლის გუბეებში დგას და ფუჭდება. ჩანი ამის შემდეგ. შეიძლება იმის თქმა, რომ ფაბრიკა ახალ სეზონს მზად შეხვდებოდა.

წლეულს ნიგეზიანის ფაბრიკამ უნდა მიიღოს და გადაამუშაოს სულ მცირე 2 ათასი ტონა ჩაის ნედლეული. ასეა ვალდებულებაც. სამწუხაროდ, არსებული მდგომარეობით საეჭვოა, რომ ეს შესრულდეს, რადგან ფაბრიკა ჯერ კიდევ რემონტშია. საამქროებში სახურავი დახიანებულია, ძელიფეს დანადგარებს აწვიმს და სახელმწიფო ქონება ფუჭდება. ლაბორატორია, სადაც უნდა მოხდეს ნიგეზიანის, ეწრის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებიდან მიღებული ფოთლის ხარისხის შემოწმება, მოუწყობელია. უფრო მეტიც. ლაბორატორიის ხელსაწყოებს სახურავის დაბიანების გამო აწვიმს, ასეთი ხელსაწყოებით მათ რა ხარისხი უნდა შეამოწმონ!

ფოთლის ცენტრალური მიმღები პუნქტები. ჯერ კიდევ ვერ მოუწყვიათო. ჩაის მზა პროდუქციისათვის სჭირდებათ სულ მცირე 12.000 ცალი ყუთი, ფაქტიურად მზად აქვთ მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა — 1.200 ცალი. სრულიად არ გააჩნიათ ჩაის პროდუქციის შესაფუთი ქაღალდი.

საამქროებში ზენიტადან — დაახლოებით 10 ტონამდეა უხეში ჩაის მზა პროდუქცია. მისი დანიშნულებისამებრ გაგზავნაზე თავს არავინ იწუხებს. ცხადია, ასე თუ გაგრძელდა, ესეც ხელს შეუშლის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებას.

ფოთლის შეუფერხებლად კრეფისათვის ყველფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მეჩაიეებს მუშაობის წორმალური პირობები შეეიქმნათ. ამ მხრივ რაიონში საერთოდ კარგი მდგომარეობაა. მაგრამ, სოფლებში შრომისუნაში, ხიდმაღლასა და ნიგეზიანში მოწყობილი არ აქვთ საბავშვო ბაგა-ბაღი.

დრო არ ითმენს. წლეულანდელი ამინდი და ლანჩხუთელთა მარჯვენით მოვლილი პლანტაციები საშუალებას იძლევა, რომ შარშანდელთან შედარებით წლეულს ფოთლის კრეფის სეზონი ადრე დაიწყოს. ამტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ და სასწრაფოდ გამოვასწოროთ ზონიშნული ნაკლოვანებები. მომზადებული შევხვდეთ ახალ სეზონს და ღირსეული წვლილი შევიტანოთ საქართველოს მეჩაიეთა საერთო წარმატებაში.

რეიდის მონაწილენი: ა. ფილოსანი — სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ლანჩხუთის რაიონში; ბ. ხუციშვილი — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი აგრონომი; ზ. გოგელია — ნიგოეთის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი; ბ. ჯაბუნი — ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე; ლ. ჩხაიძე — სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ბ. ცანავა — აცანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი; შ. ჭობუა, ბ. ჩხაიძე — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

კონტრასტები სეზონისათვის მზადებაში

ლანჩხუთელები ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებას ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ასეთ ეტაპზე ხვდებიან.

ბ. ლ. ბ. ლ. ი. ი. ა.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

თოვლის საფარმა დაამშვიდათ

რედაქციას უპასუხებს რესპუბლიკური გაერთიანება „საძესლოფლტექნიკა“

ჩვენი გაზეთის 20 მარტის ნომერში დაიბეჭდა რედიის მასალა ზნაურის რაიონის შესახებ.

წერილის გამო რესპუბლიკური გაერთიანება „საქმესოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე მ. თევდორაშვილი რედაქციას სწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქმესოფლტექნიკამ“ საჭირო დონისძიებები გაატარა გამოვლინებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად. სასწრაფოდ შეაკეთეს ბეგმარის საბჭოთა მეურნეობის ორი ტრაქტორი, რომლებიც უკვე ჩაბარდა დამკვეთს. სათესები, გუთნები, სათაშები, სასუქის შემტანები და სხვა ინვენტარი შესაკეთებლად ანის გამზადებული. ზნაურის განყოფილებაში შეზიდულია საჭირო სათადარიგო ნაწილები. რაიონში მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების შეზიდვა გაერთიანება „სამრეთოსეფლტექნიკის“ კოლექტივს დაევალა.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲜᲐᲗᲨᲘᲗᲔᲑᲡ — ᲣᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

დავძლიოთ რელიგიური ცრურწმენები

პარტიის XXIV ყრილობამ გასაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალი, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანის ჩამოყალიბებას: საბჭოთა ადამიანების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი იდეურ-პოლიტიკური თვისებების — კომუნისტური ზნეობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობას.

„საბჭოთა ადამიანის ახალი სახე, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა ყალიბდება წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში“.

წარსულის გადმონაშთებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველაზე უფრო მასობრივ, კონსერვატიულ და მდგრად რელიგიურ გადმონაშთებს. მის წინააღმდეგ ბრძოლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდან დაიწყო. ამ ბრძოლამ ძალზე რთული და ძნელი გზა განვლო. მოსახლეობის რელიგიურობის დასაძლევად საჭირო იყო მილიონობით ადამიანის ცნობიერების. ფსიქოლოგიისა და ჩვეულების გარდაქმნა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა ექსპლოატატორული საზოგადოების ჩვეულებისა და ცრურწმენებთან ბრძოლაში. რელიგიურ გავლენისაგან პიროვნების განთავისუფლება ნაწილი იყო დიდი რევოლუციური ბრძოლისა, ახალი ადამიანის აღსაზრდელად.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა დიდი ოქტომბრიდან. ამ მიმართულებით ბევრ რამეს მივაღწიეთ. დიდი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების, შეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობამ ზურგი აქცია რელიგიასა და ეკლესიას. ჩვენი ქვეყანა მასობრივი ათეიზმის ქვეყნად იქცა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენს ქვეყანაში რელიგიასა და ეკლესიას მრავალი მილიონი მორწმუნე და თანამგრძნობი ყავს.

ათასობით სასულიერო პირი ემსახურება რელიგიური მსოფლმხედველობის დაცვასა. ისინი მორწმუნეებში აგროვებენ ხახსრებს, მათ განკარგულებაშია რელიგიური წიგნები, ეუონალების გამოცემა, სასწავლებლები, სადაც ისინი ზრდიან მომავალ ღვთისმსახურებს. ყოველივე ამით თეოლოგები ცდილობენ აქტიურად დანერგონ რელიგიური მოძღვრება.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური იდეოლოგია ერთადერთი ოფიციალური იდეოლოგიაა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ არის მიმართული;

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, მას ყოველთვის თვლიდნენ ერთ-ერთ მოწინავე ათეისტურ რესპუბლიკად, სადაც რელიგიასთან ბრძოლის ძირითადი მომენტები მოგვარებულად ითვლებოდა. რელიგიურობის დონე (თუ არ ჩავთვლით ძველი იუდაური რელიგიური ორგანიზაციას და ისლამის ძლიერ გავლენას აჭარაში), მასში საკმაოდ დაბალი იყო. საქმის ასეთმა ვითარებამ შექმნა ილუზია, რომ რესპუბლიკაში თითქოს არ იყო აუცილებელი სისტემატური ათეისტური პროპაგანდა, ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ თუ კი ვინმეს კიდევ სწამს ღმერთი, ეს მხოლოდ მოხუცები არიან, საჭიროა მხოლოდ დრო და რელიგია ყოველგვარი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაუწევლად თავისით მოკლდებაო. ასეთი უზრნველი, უპასუხისმგებლო და ცრუ შეხედულების შედეგმა მალე იჩინა თავი.

ორი ათეული წლის მანძილზე რესპუბლიკაში არსებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, მექრთამეობამ, პროტექციონიზმმა, კუთხურობამ, ეროვნულ-ნაციონალიზმმა, ათეისტურ-ანტიათეისტურ ფაქტორებმა, ნათლიმამობამ, ქრისტიბაბობამ და ა. შ. დიდი ზიანი მიაყენა ადამიანთა ფსიქიკას. ზოგმა დაკარგა რწმენა ნათელი იდეალებისადმი და ერთგვარად შებრუნდა რელიგიისაკენ. დასამალავი არ არის, რომ ამ პერიოდში რესპუბლიკაში იმატა მორწმუნეთა რიცხვმა, განსაკუთრებით ეს სექტანტობას ეხება.

ჯერ კიდევ ძლიერია იუდაიზმის გავლენა ებრაელ მოსახლეობაში და ისლამის გავლენა აჭარაში. ბოლო ხუთ წელიწადში შესამჩნევად გაიზარდა მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა მიერ რელიგიური რიტუალების შესრულება.

ამის პირველი სიგნალი იყო 1970 წელს მასობრივი ნათლობები, რაც თვით სამღვდელო პირთა მიერ გავრცელებულ ფართო ჭორს მოჰყვა, ვინც წლის ბოლომდე არ მოინათლება, აუცილებლად დაიღუპებაო. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გვხვდება კურიოზული შემთხვევები. მაგალითად, აფხაზეთში შარშან სექტანტმა ბაპტისტებმა შესძლეს თავის რიგებში ჩაეთრიათ წარმოების მოწინავენი: ბაპტისტ სექტანტთა ქსელში მოხვდა ბათუმის ხანაოსნოს დაცვის თანამშრომელი კომუნისტი ი. ე. ხვინინეკი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა ბათუმში მცხოვრები მოქალაქის ი. ბ. ხალვაშის განცხადება. ის უჩიოდა თავის ყოფილ მეუღლეს, ბავშვები ბაპტისტურ სამლოცველოში დაჰყავს და რელიგიური სულისკვეთებით ზრდისო. შემოწმებამ გამოარკვია, რომ განცხადება სიმართლეს შეეფერება, რომ ამ სექტანტი 30-მდე ბავშვი დადის, ხოლო „ორმოცდაათიანელების“ სიქადაში — 50-მდე ბავშვი. როგორც შემოწმებამ გამოარკვია, ბათუმის VIII რუსული საშუალო სკოლა უძლური აღმოჩნდა დაიძლია სექტანტური იდეებით გაჟღენთილი ბავშვების მსოფლმხედველობა. მიუხედავად ეგზეფული ერთგვარი მეცნიერულ-ათეისტური მუშაობისა, VII კლასის მოსწავლეებს ლილი და ფიალა ხალვაშებს ისე მტკიცედ სწამთ თავიანთი რელიგიური შეხედულებები და კვლავ დადიან სალოცველოში.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ რელიგია იქ იბუდებს, სადაც ოჯახური ტრაგედია, მოუგვარებელი ცხოვრება და დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა, რელიგია ჯერ კიდევ ეწევა სპეკულაციას ადამიანთა უბედურებით, მწუხარებით, ტანჯვითა და სიკვდილით. რელიგია იქ იმარჯვებს, სადაც ჩვენ იდეოლოგიურ ბრძოლას ვასუსტებთ.

კომუნისტურმა პარტიამ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ ამოცანად წამოაყენა საბჭოთა საზოგადოების თვითეულ წევრს ჩამოუყალიბოს მეცნიერული მსოფლმხედველობა. ეს უკანასკნელი კი გულისშემზარავ რელიგიურ წარმოდგენებისა და ცრურწმენების სრულ დაძლევას. ამ ამოცანის შესრულებაში მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ამა მარტო ხელს უნდა უწყობდეს ადამიანთა რელიგიურობის დაძლევას, არამედ უნდა გვეხმარებოდეს რელიგიური გავლენის წინააღმდეგ მყარი იმუნიტეტის გამომუშავებაშიც. თანმიმდევარი, მტკიცე მეცნიერულ-ათეისტური რწმენის გარეშე შეუძლებელია ერთიანი მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

**ამავე დროს მასობრივი ათეიზმის გავრცელების პირობებში რესპუბლიკაში არ გვყოფნის პროპაგანდისტთა ისეთი კადრები, რომლებიც კვალიფ

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ეროვნული კულტურის საგანძური

წიგნის პალატის ნახევარსაუკუნოვანი გზა

საქართველოს სსრ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო წიგნის პალატას დაარსების 50-ე წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღის გამო პალატის დირექტორმა, პოეტმა ალექსი გაფრინდაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა:

— დღიდან დაარსებისა წიგნის პალატა გახდა სახელმწიფო საღიცხვო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკისა და ცენტრალიზებული კატალოგიზაციის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც საქართველოში გამოქვეყნილი ნაბეჭდი პროდუქციის ხელუხლებელი ფონდის შექმნა და დაცვა ევალება.

წიგნის პალატის ერთ-ერთი მოცანაა ბიბლიოგრაფიული ორგანოების, — „წიგნის მატიანის“ (1926 წლიდან), „ჟურნალის სტატიების მატიანის“ (1939 წლიდან), „გაზეთის სტატიების მატიანის“ (1934 წლიდან) შედგენა და გამოცემა. წელიწადში ამ მატიანეთა 48 წიგნი გამოდის. პალატა უშვებს აგრეთვე სახვითი ლიტერატურის ნაწარმოებთა მატიანეს და „ნოტების მატიანეს“.

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, სამეცნიერო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, შეიქმნებითს კავშირებს წიგნის პალატაში შეუძლიათ მიიღონ ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები, რამდენჯერ და როგორ წლებში გამოვიდა ესა თუ ის წიგნი, ჟურნალი, გრაფიკული ან მუსიკალური ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ წიგნის პალატაში ამჟამად დაცულია 1.3000000-ზე მეტი ბეჭდური ერთეული. ეს მდიდარი ფონდები განკუთვნილი არ არის საჯარო სარგებლობისთვის, ეროვნული კულტურის ეს ძვირფასი საგანძური შთამომავლობას ენახება.

წიგნის პალატაში აღრიცხული და ბიბლიოგრაფიულად დამუშავებულია, გარდა იშვიათი გამნაკლისებისა, ყველა ქართული წიგნი, რაც კი 1629 წლიდან, პირველი ქართული ბეჭდური წიგნიდან დღემდე გამოსულა.

წიგნის პალატაში ყოველწლიურად 28 ათასამდე ბეჭდური ერთეული შემოდის. მათ შორის არის სამათასამდე წიგნი, რვაასამდე ჟურნალი, 19 ათასი გაზეთი და სხვა გამოცემები. როგორც უკვე ვთქვით, პალატის მუშაკები აკომპლექტებენ, ანალიზებენ, ამუშავებენ და საცავს გადასცემენ ამ გამოცემებს. საცავის ახალში შეხობამ, რომელშიც ყველა საჭირო პირობაა შექმნილი ბეჭდური პროდუქციის უნაკოო და მუდმივი დაცვისათვის, დიდად გაუმჯობესა ფონდის მოვლა-შენახვის საქმე.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან თარიღს ზეიმობს. განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი წიგნის ეს დიდებული საცავი ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივი მომავალშიც სიყვარულითა და გატაცებით იმუშავებს, რათა პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა და ჩვენს შთამომავლობას უნაკოოდ შემოუტანოს უდიდესი სულიერი საგანძური — წიგნი.

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ ღირსსასსოვარი თარიღის — საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდამხმარების ხელშეკრულების ხელმოწერის 30-ე წლისთავს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახლის დიდ დარბაზში 23 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება. პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვაძე, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ფაშარაშვილი, ამ საზოგადოების განყოფილების აქტივისტები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ფუანიამ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუამ. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება, ხაზი გაუსვა მან, გამოხატავს ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა ტრადიციულ ძმურ ურთიერთობას. განვლილი 30 წლის მანძილზე პოლონეთში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები, პოლონეთის სოციალისტური განვითარება, მისი უდიდესი წარმატებანი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომელებსაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია, ყველა საბჭოთა ადამიანის სიამაყისა და სიხარულის გრძნობას იწვევს.

მშენებელთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ტ. ქართველიშვილმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ვ. ქოთავამ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ბერიშვილმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების იუბილეს ვზეიმობთ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის — ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის წინ. ურყევია საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა, რომელიც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ გმირულ ბრძოლაში განმტკიცდა.

ორატორებმა გამოთქვეს რწმენა, რომ დღითი დღე განმტკიცდება და გაღრმავდება საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ურყევი სოციალისტური თანამეგობრობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმებანი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა და სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსადმი. (საქართველო).

ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ“

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ, 24 აპრილი. (საქართველოს სსრ). კორ. ტ. არშბა). კიშინოვის VIII კინოფესტივალი მუშაობას ამთავრებს. ნაჩვენებია თითქმის ყველა ფილმი.

ქართული კინოს ოსტატთა ნაწარმოებებს პირველი გასინჯვა გაიმართა ფესტივალის მესამე დღეს. საკონკურსო გასინჯვაში მონაწილეობდნენ მაშინ მხოლოდ დოკუმენტური ფილმები: გ. ასათიანის „ქაოტბრიობის გაზაფხული“, ო. გურგენიძის „მონოლოგები პროფესიების შესახებ“ და მ. შონიას „ლადო გუდიაშვილი“. მხატვრული ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ უჩვენეს დათვალიერების ბოლო დღეს.

ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულმა ფილმებმა საბჭოთა კავშირის მაყურებლის სიყვარული დიამსახურეს. ბევრი თაყვანისმცემელი აყავს ქართულ კინოს მოლდავეთშიც. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ფილმისადმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“.

დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა საქართველოს დელეგაციის წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ VIII სრულიად საკავშირო კინოფესტივალზე.

მოკლე თხრობა ფილმის შესახებ — და სიტყვა ეძლევა ეკრანს. ძნელია ამ ფილმის ჟანრის განსაზღვრა: იგი შეიცავს კომედიისა და ლირიკის ელემენტებს და ამავე დროს ღრმად ფილოსოფიური ნაწარმოებიც არის. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები ამეტყველდა ეკრანის ენით, და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა რეჟისორს ნ. მანაგაძეს.

ფილმის „ივანე კოტორაშვილის ამბავის“ საკონკურსო გასინჯვის წინ უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჯადოსნური კვერცხი“, რომელიც აგრეთვე მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

Ა. Პ. ᲓᲝᲕᲥᲔᲜᲙᲝᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქის საზოგადოებრიობამ დღეს სიყვარულით აღნიშნა ა. დოვჟენკოს დაბადების 80-ე წლისთავი. თბილისის კინოს სახლში გაიმართა გამოჩენილი უკრაინელი რეჟისორის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ. მან აღნიშნა ა. დოვჟენკოს წვლილი საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში. იგი გულთბილად მიესალმა რეჟისორის მეუღლეს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ი. სოლნცევასა და მოძმე უკრაინიდან ჩამოსულ სტუმრებს.

რეჟისორის შემოქმედებაზე ილაპარაკეს უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის თეორიისა და კრიტიკის სექციის თავმჯდომარემ, კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. კუდინმა, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. თაბუკაშვილმა, მსახიობმა და რეჟისორმა — დოვჟენკოს მოწაფემ ბ. წულაძემ.

კინოს სახლის ფოიეში გაიხსნა ა. დოვჟენკოს შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. (საქართველო).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

გამოხმაურება

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გაზეთებმა პირველ გვერდზე დაბეჭდეს დაწვრილებითი შინაარსი მ. ა. სუსლოვის მოხსენებისა „დიდი ლენინის ანდერძით“. ბულგარეთის პრესა ინგარიშს მოსკოვის საზეიმო სხდომის შესახებ აქვეყნებს სათაურებით: „ლენინიზმის დროშით — ახალი გამარჯვებისაკენ“, „ლენინურად — კომუნიზმისაკენ“. ბულგარეთის საინფორმაციო სააგენტოს ინგარიშში ნათქვამია: „მ. ა. სუსლოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ წვლილით, რომელიც საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეში შეიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. ლეონიდ ილიას-ძემ მსოფლიო საზოგადოებრიობის უფასოოესი წვრილის დიდი პატივისცემა დაიმსახურა თავისი თავდადებული მოღვაწეობით მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ“.

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავომ“ ინგარიში საზეიმო სხდომის შესახებ გამოაქვეყნა სათაურებით: „ლენინიზმის მარადიული ძალა“, „საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა“, „სოციალისტური თანამეგობრობის ძალა და ავტორიტეტი“, „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ომპერიალიზმის პოზიციებზე“.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ ლენინიზმის შემოქმედებითი ძალა სრულ ხორცშესხმას პოულობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სწრაფ განვითარებაში; საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდ ძალაში, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლაში.

უნგრული „ნეფსაბადშაგი“ ხაზს უსვამს, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პრაქტიკაში მთლიანად და სავსებით შეისნეს ხორცი ლენინის იდეებმა.

„ნოიეს დოიჩლანდი“ წერს: „სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო პოზიციები დღეს ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს. ლენინური გზით მიმავალი სოციალისტური ქვეყნები მშვიდობის ურყევ ბურჯად, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მძლავრ ძალად გადაიქცნენ. საბჭოთა ქვეყნის წარმატებები XXIV ყრილობის შემდგომ პერიოდში მოპოვებულია ვ. ი. ლენინის იდეების თანამიმდევრული განხორციელებისა და შემოქმედებითი განვითარების მეოხებით. საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად მტკიცედ ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს“.

იტალიური „უნიტა“ აღნიშნავს, რომ მ. ა. სუსლოვის მოხსენებაში მოიცემულია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების დადებითი შეფასება“ გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მომხსენებელმა „მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოზიცია“.

(საკდესი).

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

საკდესი და ეცხოვრების კრესის სააგენტოები იტყობინებიან

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა მიტანგანსა და კრების აკრძალვის შესახებ, **რომლებსაც არ ეკუნებათ პოლიციის სპეციალური ნებართვა.**

აკრძალვის ფორმალური მოტივი გახდა 21 აპრილის ამბები. 1967 წლის სამხედრო-ფაშისტური გადატრიალების მერვე წლისთავის დღეს ათასობით ათენელი გამოვიდა დემონსტრაციაზე, რათა გადაჭრით დაეგმო ფაშიზმი და დიქტატურა.

მემარცხენე ექსტრემისტებმა, რომლებიც დემონსტრანტთა რიგებში იყვნენ, პროვოკაციულად გამოიწვიეს არეულობა, და პოლიციამ ცრემლსადენი გაზების გამოყენებით გაფანტა დემონსტრანტები.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ

● პატრიოტები უტევენ მთრის საკრებულ -ბუნკერებს
● გადაყენეს-გადმოყენეს საიგონის რეჟიმის ხელმძღვანელები ● იხურება ჩელჩოები საიგონში
● უარყვეს მოთხოვნა საიგონის რეჟიმის დახმარების შესახებ.

ნიუ-იორკი, (საკდესი). მეკონგის დელტაში, საიგონის სამხრეთით, პატრიოტები კვლავ უტევენ მტრის საყრდენ პუნქტებს. ლონგანის პროვინციაში მათ დაიკავეს კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი № 4 გზატეხილის გასწვრივ.

მიუხედავად იმისა, რომ თხიეუმ განაცხადა თავისი „გადადგომის“ შესახებ, იგი ხელს არ იღებს რეჟიმის შენარჩუნების ცდებზე. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, თხიეუ ფაქტიურად განაგრძობს საიგონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას პრეზიდენტის სასახლიდან, საიდანაც ჯერ არ წასულა. დადის ხმები, რომ ახალი „პრეზიდენტი“ ჩინეთ ჰაინგი დიდხანს ვერ დარჩება ამ პოსტზე და რომ ამ პოსტს დაიკავებს სენატის თავმჯდომარე ჩან ვან ლამი, ხოლო რამდენიმე დღის წინათ დანიშნულ ახალ „პრემიერს“ შეცვლის გენერალი ჩან ვან დონი.

გადაყენეს-გადმოყენება ზედა ფენაში აძლიერებს არეულ-დარეულობასა და უთანხმოებას საიგონის მარიონეტთა ბანაკში.

ამასობაში მდიდარი საიგონელები ტოვებენ სამხრეთ ვიეტნამს. მაგრამ, როგორც ამერიკელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, ბევრი მათგანი მძარცველია მსხვერპლი ხდება: საიგონის რეჟიმის სანაპირო დაცვა მეკონგის დელტაში თავს ეხსნის ჯონკებსა და სხვა გემებს, რომელებსაც საიგონიდან მიჰყავთ მდიდრები, არმიელები მათ მთელ ფასეულობას, აწიოკებენ მგზავრებს.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში საიგონიდან ამერიკის შეერთებული შტატების ფილიპინების სამხედრო-საჰაერო ბაზაში გადაჰყავთ ამერიკის პერსონალი და სამხრეთვიეტნამელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამერიკელებთან. კლარკის (ფილიპინები) ავიაბაზაში ამერიკის თვითმფრინავებით უკვე მიიყვანეს 6 ათასამდე კაცი.

უცხოთის საელჩოები ემზადებიან საიგონიდან გახმარებისათვის და წვავენ თავიანთ საიდუმლო დოკუმენტებს. ინგლისმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გადაწყვიტეს 24 აპრილიდან დახურონ თავიანთი საელჩოები საიგონში. საელჩოთა მთელ პერსონალს ხვალ ინგლისის სამხედრო თვითმფრინავით წაიყვანენ სინგაპურში.

სინგაპური. (საკდესი). ავსტრალიის ავიაკომპანიის „კატეი პასიფიკის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ავიაკომპანიის თვითმფრინავებმა შეწყვიტეს ფრენა საიგონში, რადგან საიგონის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა უზრუნველყონ ფრენის უსაფრთხოება. მოელიან, რომ მალე ანალოგიურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ სხვა ავიაკომპანიებიც, რომლებიც ამბობენ ქვეყნების აკავშირებენ სამხრეთ ვიეტნამთან.

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი ეთათბირა თავის საგარეო-პოლიტიკურ მრჩეველებს და კონგრესის რესპუბლიკელთა ლიდერებს. შეხვედრის დროს განიხილეს სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობა და როგორც ამერიკელების, ისე მათი თანამშრომელი სამხრეთვიეტნამელების გახიზვნის საკითხები.

გახიზვნის საბაბით იუწყება ამერიკის პრესა, ამერიკის შეერთებული შტატები აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვაში. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობების თანახმად, რამდენიმე ათასი სახელოვნ ქვეითი ჯარისკაცი ოკინაველ ეშბრდება ამფიბია ხომალდებში ჩასასხდომად, რათა შეუერთდნენ 5 ათას სახელოვნ ქვეითი ჯარისკაცს, რომლებიც უკვე იმყოფებიან ამერიკის სამხედრო-საზღვაო გემებზე სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან.

სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში ჩარევის განუწყვეტელი ცდები საზოგადოებრიობისა და კონგრესის წრეების წინააღმდეგობასა და უკმაყოფილებას იწვევენ. **წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ უარყო ადმინისტრაციის თხოვნა, რომ გამოეყოს 722 მილიონი დოლარი საიგონის რეჟიმის სამხედრო მხარდაჭერისათვის.** ამერიკელი მომმხილველნი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ გადაწყვეტილებას, რადგან ეს კომისია წარსულში მრავალი წლის მანძილზე მხარს უჭერდა მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკას.

შეერთებულმა შტატებმა უკვე დახარჯა 150 მილიარდი დოლარი, რათა ხელისუფლების სათავეში შეენარჩუნებინა საიგონის რეჟიმი, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. ისტორია, აუცილებლად დაადასტურებს, რომ ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს.

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

Ա. ᲙᲣᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). 25 აპრილს, **დემოკრატიული ანტიფაშისტური რევოლუციის პირველი წლისთავის დღეს, 6 მილიონმა პორტუგალელმა უნდა აირჩიოს დეპუტატები დამფუძნებელი კრებისა, რომელიც შეიმუშავებს ქვეყნის ახალ, დემოკრატიულ კონსტიტუციას.**

ლისაბონის ტელევიზიით გამოვიდა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტია იბრძვის ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის, რომელმაც უნდა განახორციელოს ღრმა ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები.

ჩვენ გვინდა დემოკრატიული პორტუგალიის შექმნა, რომელიც განვითარდება სოციალიზმის გზით, თქვა ა. კუნიალმა.

ნაციონალიზაციისა და აგრარული რეფორმის განხორციელების ამასწინანდელი პირველი ოინისძიებანი, აღნიშნა მან, სახავენ ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის გზას. კომუნისტური პარტია, ხაზი გაუსვა ა. კუნიალმა, ხალხთან ერთად აშენებს ახალ პორტუგალიას, რომელიც თავისუფალი იქნება ტირანიისა და ექსპლოატაციისაგან, თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის პორტუგალიას.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების მოწყობას სიმშვიდისა და მოქალაქეთა შეგნებულობის ვითარებაში. მომავალი არჩევნები უნდა იყოს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი მუშათა კლასისა და ყველა პორტუგალიელის ერთიანობის განმტკიცების, შეიარაღებული ძალების მძიმრობასთან ხალხის კავშირის კონსოლიდაციის გზაზე, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ახალი დემოკრატიული პორტუგალიის შექმნაში.

ᲓᲐᲙᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘᲨᲘ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 24 აპრილი. (საკდესი). **ურუგვაის პოლიციამ მასობრივად დაკატიმრა ხალხი რესპუბლიკის დედაქალაქ მონტევიდეოში.** რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავეს ასზე მეტი კაცი. ყველა ისინი გაგზავნეს დედაქალაქის „სილინდროს“ სტადიონზე, რომელიც გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკად.

დაპატიმრებანი მოაწყვეს მაშინვე, როგორც კი კანონგარეშე გამოცხადებულმა შრომელთა ეროვნულმა კონვენტმა ხალხს მოუწოდა მიმდინარე წელს პირველი მაისის დღესასწაული მოაწყოს ქვეყანაში დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისათვის ბრძოლის ნიშნით.

აქ მიღებული ცნობების თანახმად, კვლავ საპყრობილეში გამოამწყვდიეს ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ხორხე მასაროვიჩი.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲧᲐᲠᲝ

ᲕᲔᲜᲭᲐᲒᲝᲜᲘ-ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის მომავალმა დამტკიცებამ — იგი წარდგენილია 94 მილიარდი დოლარის ოდენობით (ნაცვლად მიმდინარე საფინანსო წლის 85,3 მილიარდი დოლარისა) — კვლავ მიაპყრო ამერიკელთა ყურადღება პენტაგონის როლსა და გავლენას მათი ქვეყნის ცხოვრებაში. სამხედრო უწყება კვლავ გამოვიდა გაუმაძღარი ურჩხულის როლში, რომელიც ნთქავს იმ სახსრებს უდიდეს წილს, რასაც მოსახლეობას გადასახადების სახით ახდევინებენ. ცნობილია, რომ გადასახადები ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

1961 წლის იანვარში დუაიტ ეიზენჰაუერმა, თეფრი სანლიდან რომ მიდიოდა, წარმოთქვა ცნობილი გამოსათხოვარი სიტყვა, სადაც პირველად იხმარა გამოთქმა „სამხედრო-სამრეწველო „კომპლექსი“, რომელიც ახლა საყოველთაოდ მიღებული გახდა. ეიზენჰაუერი გაფრთხილებას იძლეოდა იმ „ვრცდიოზული სამხედრო სისტემის „გაუმართლებელ გავლენასთან“ დაკავშირებული საშიშროების შესახებ, რომელიც გაერთიანებულია „კომპლექსში“ უზარმაზარ სამხედრო მრეწველობასთან“. გასულილ წლებში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მასშტაბები უაღრესად გაფართოვდა. მისი გავლენა ამერიკის პოლიტიკის სულ სხვადასხვა დარგებზე კოლოსალურად გადიდდა, ეგშმარიტად უპრეცედენტო გახდა. ეს ახლა სამხედრო ხროვისა და მონოპოლიების უბრალო კავშირი როდია. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე პრაკსმაიერი თავის წიგნში „მოხსენება არასაჭირო ხარჯების ქვეყნიდან“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქმე ეხება უკვე „სამხედრო-სამრეწველო, ბიუროკრატიულ-სავაჭრო, პროფკავშირულ-ინტელექტუალურ, ტექნიკურ-პოლიტიკურ კომპლექსს, რომლის ძლიერება თითქმის ყოველ ამერიკელ მოქალაქეს ეხება“.

აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი დღეს მსოფლიოში უმსხვილესი „ბიზნესია“. პენტაგონი უკვე დიდხანია გადაიქცა უმსხვილეს კონცერნად. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულია ხუთ მილიონამდე კაცი. პენტაგონი არა მარტო უდიდესი რაკეტულ-ატომური ძალიერების ნაერთია, არამედ გიგანტური ბიზნესიც არის. ის საშუშაოზე, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო იძლევა, დამოკიდებულია ამერიკელთა ყოველი მეექვსე ოჯახი. პენტაგონს ეკუთვნის 200 მილიარდი დოლარის უძრავი ქონება და მოწყობილობა — უფრო მეტი, ვიდრე აშშ-ის 65 უმსხვილეს სამრეწველო ფირმას. პენტაგონი აშშ-ის ყველაზე დიდი მყიდველი (წელიწადში 200 ათასზე მეტი კონტრაქტი და 100 ათასზე მეტი მუდმივი მიმწოდებელი) და ყველაზე მსხვილი მიწის მესაკუთრეა (13 მილიონი ჰექტარი მიწა ბაზებად, ობიექტებად და პოლიგონებად აშშ-ში და მათს ფარგლებს გარეთ). ხოლო ესეც ხომ მხოლოდ ნაწილია კომპლექსისა, რომელშიც შედიან კიდევ დასავლეთ სამყაროში უძლიერესი კონცერნებიც და „თავისი“ ლობი კონგრესში: უდიდესი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და ზოგიერთ პროფკავშირთა ზედფენები. ყოველივე ერთად აღებული ეს არის ძალაუფლების, უამრავი ფულისა და უდიდესი გავლენის კომპლექსი.

„ამერიკის მილიტარიზმი მთელი სისტემის ავადმყოფობაა, რომელიც მოედო თვითეულ ჩვენს მთავარ ინსტიტუტს და მოახდინა მათი განვითარების დაფორმირება, მსგავსად იმისა, როგორც კიბოვანი დაავადება ახდენს ცოცხალი უჯრედების განვითარების დეფორმაციას“, — აღიარებს ლ. ბარნეტო თავის წიგნში „სიკვდილის ეკონომიკა“.

ვისთვის არის ხელსაყრელი ყოველივე ეს?

პენტაგონის ყველა შეკვეთის ორ მესამედს ისი უმსხვილესი მონოპოლია იღებს. ერთი მესამედი მოდის ათ ისეთ კონცერნზე, როგორიც არიან „ლოკჰიდი“, „ჯენერალ დინამიკსი“, „მაკდონალდ-დუგლასი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „სპერი რენდი“ და სხვები. რამდენადაც სამხედრო შეკვეთები უკონკურენციო საფუძველზე ნაწილდება, ფასებს თვითონ მონოპოლიები ნიშნავენ, რაც კოლოსალურ მოგებას აძლევს სამხედრო მრეწველებს.

ახალ სახეობათა იარაღი განსაკუთრებით ძვირია. მაგალითად, სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაგამანადგურებელი „ფ-14“ ღირს 16,8 მილიონი დოლარი, სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელი „ფ-15“ — 10,5 მილიონი. მომავალი ბომბდამშენი „ბ-1“ დაჯდება 45 მილიონი დოლარი, ხოლო წყალქვეშა ნავი „ტაიფუნი“ 1,3 მილიარდი დოლარი! კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს ძვირადღირებული სათამაშოები ზედმეტია მცირე ომებში და უსარგებლოა დიდ ომში. ბომბდამშენსა და წყალქვეშა ნავზე მუშაობა დაიწყო თავდაცვის მინისტრ კლარკ კლიფორდის დროს. ახლა თვითონ ის აკრიტიკებს ორივე პროექტს როგორც მეტისმეტად ძვირადღირებულს და შეიარაღების „შეზღუდვაზე მოლაპარაკებისათვის ხელის შემშლელს.

პენტაგონთან სამრეწველო კონცერნების გადახლართვამ შექმნა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სახესხვაობა, რომელიც დიდმნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ პოლიტიკაზეც. ათასობით გადამდგარი პოლკოვნიკი, გენერალი და ადმირალი მსახურობს უმსხვილეს მონოპოლიებში. ამავე დროს მეთაურთა პოსტები პენტაგონში მსხვილ ბიზნესმენებსა და ბანკირებს უჭირავთ.

მსხვილი კაპიტალის ინტერესებს ეკუთვნდებარება პენტაგონის ათასობით სამსახურის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ესენი არიან მრავალრიცხოვანი „ექსპერტები“, „სამხედრო უშიშროების“, „გეოპოლიტიკის“, სამხედრო კონსულტანტების თეორიის, თანამედროვე ომების სტრატეგიის დარგში. ასრულებენ რა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შეკვეთას, ისინი ცდილობენ დაარწმუნონ ამერიკელები იმაში, რომ ატომური იარაღის განუსაზღვრელად დაგროვება თითქოს ამცირებს ომის საფრთხეს, მაშინ როცა იგი სანმდეგოში მხოლოდ აძლიერებს ამ საფრთხეს. თავიდან იშორებს რა გარდუვალ კრიტიკას, მათ შორის კონგრესშიც, თეთრი სახლი ახლა ამართულებს ახალი მილიარდობით დოლარის მიცემას პენტაგონისათვის იმით, რომ თითქოს საკითხია „დაიცვას საბრძოლო მზადყოფნა და შეინარჩუნოს შეიარაღებული ძალების დონე მზარდი ფასების პირობებში“.

ახლა პენტაგონის წარმომადგენლები გამოდიან თავმომაბეზრებელი „საბჭოთა მუქარის „სულისკვეთებით“, რასაც უმატებენ იმას, რომ სსრ კავშირი თითქოს არღვევს 1972 წლის შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ“.

დედის თხოვნა

ბახსენება XXX

იქნებ გამოგვეხმაუროს. მეგობარო!

ალგაჟ გახსოვთ ჩვენი გაზეთის 1974 წლის 23 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ჯარისკაცის დედა“, რომელიც ჯაზეთ „პრავდიდან“ არის ნადმობეჭდილი. ამ წერილში „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტები ჟ. შაცკაია და ჯ. ლებანიძე ამაღელვებლად მოგვითხრობენ ამბავს ქართველი ჯმრის ალიოშა შალამბერიძის 90 წელს მიღწეული დედისას, რომელიც დღიდან შვილის დაღუპვისა დაეძებს თავისი ვაჟის საფლავს.

სად და ვის არ მისწერა წერილი ზუგდიდის ოთაინის სოფელ ჭითაწყაროს მკვიდრმა სონია ჭითანავა-შალამბერიძემ ამ წლების მანძილზე, ვინ არ ნახა, მაგრამ გმირი შვილის ნეშტის ადგილსამყოფელს ვერსად მიაკვლია.

 სურათზე: ალიოშა შალამბერიძე (მარჯვნივ) და უცნობი ჯარისკაცი.

ძაძით შემოსილი მოხუცი დედა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ რედაქციაში ორჯერ გვეწვია, გვაცნობა, თუ რა ბევრი წერილი მიიღო ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან. როგორ თანაუგრძნობენ მის მწუხარებას უცნობი საბჭოთა მშრომელები. მას აინტერესებდა, იქნებ ჩვენს რედაქციაშიც მივიღეთ რამე ახალი ცნობა შვილის საფლავის ადგილსამყოფელზე. დრომ ვერ განკურნა მწუხარებით დაკოდილი დედის გული. ის კვლავ ეძებს.

და აი სონია შალამბერიძეს თავისი ვაჟისა და მისი თანამებრძოლის, უცნობი ჯარისკაცის სურათი შემორჩა, რომლის გამოქვეყნებაც გაზეთში გვთხოვა.

მკითხველო, დაკვირდით ამ სურათს, იქნებ ცოცხალი გადაურჩა ომის მძვინვარე დღეებს ეს ახალგაზრდა უცნობი ჯარისკაცი. იქნებ შეიცნოთ ვინ არის იგი, მოხუც დედას აუწყოთ რამე ახალი საყვარელ შვილზე.

ველით თქვენს წერილებს.

ლ. ბატიშვილი.

შეხვედრები ვეტერანებთან

□ დაუვიწყარი იყო შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირ გალაქტიონ რაზმაძესთან და სამამულო ომის ვეტერანებთან, რაც გაიმართა საქართველოს კპ ონის რაიკომის სხდომათა დარბაზში. შეხვედრა გახსნა ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ჯაფიტაძემ. მოხსენება „დიდი სამამულო ომის 30-ე წლისთავი“ წაიკითხა თადარიგის პოლკოვნიკმა გ. კანაჩაძემ.

ნ. დუშუაშვილი.

□ ხელვაჩაურის რაიონის განთიადის საოლმეურნეო კლუბში შეიკრიბნენ კოლმეურნეები, მასწავლებლები, მოსწავლეები, სოფლის ინტელიგენცია. მათ შეხვედრა მოუწყეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს. შეკრებაზე საინტერესო მოგონებებით ჰამოვიდნენ თადარიგის უფროსი ლეიტენანტი ხ. კომახიძე, კოლმეურნე ხ. ხიმშიაშვილი, შრომის ვეტერანი ა. მზეიძე.

რ. დავითაძე.

□ თბილისის მოზრდილთა მე-18 პოლიკლინიკის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის ვეტერანებს, რომლებიც ამჟამად ამ პოლიკლინიკაში მუშაობენ. შეხვედრაზე მოგონებებით გამოვიდნენ ომის ვეტერანები ო. გველესიანი, ნ. მეტრეველი, პოლიკლინიკის მთავარი ექიმი შ. ხარაზაშვილი.

მ. პატარაია.

გაერთიანებული სამეცნიერო სესია

1975 წლის 25 აპრილს დღის 12 საათზე გაიმართება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის გაერთიანებული სამეცნიერო სესია. სესია ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს.

სესია გაიმართება პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქმე დარბაზში (რუსთაველის პრ. № 29).

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

კლინიკის ახალმოსახლეობა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიის კლინიკამ ახალმოსახლეობა იდღესასწაულა.

კლინიკა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ხ. ხეჩინაშვილი, აღჭურვილია სრულყოფილი სამედიცინო ტექნიკური აპარატურით. აქ ყველა პირობაა შექმნილი ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფთა ეფექტური მკურნალობისათვის.

სურათზე: კლინიკის ახალი შენობა (ვაკეში).

შ. ჩხეტიანის ფოტო.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲒᲐᲗᲐ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

უსაქმუროგიდან — ქურდოგამდე

თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკ ბ. დგებუაძის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილში ქალის ათრთოლებული ხმა გაისმა. მოქალაქე იზოლდა ნათაძე იტყობინებოდა, წერეთლის პროსპექტის № 115 სახლის პირველ სადარბაზოში ბანდიტებმა რამდენიმე წუთში სამი ბინა გაძარცვეს.

დაყოვნება არ შეიძლებოდა, ოპერატიული ჯგუფი — პირველი ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე დ. თევზაია, უფროსი ინსპექტორი ო. ახმეტელი და მორიგე ინსპექტორი ლ. ქამუშაძე 4 წუთში უკვე შემოხვევის ადგილზე იყვნენ. მათ საკმაო საზრიანობა და მოხერხებულობა გამოიჩინეს და იქვე შეიპყრეს ჯგუფის უფროსი — ქუთაისიდან ჩამოსული, თბილისში ჩაუწერავად მცხოვრები, ადრე პასუხისგებაში ნაყოფი, უსაქმური იაშა კეკულაძე და თბილისის მე-10 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ზურაბ ომერელი. მესამე—თემურ სახვაძე ნაქურდალი ნივთებით სხვენზე ავარდა და იქიდან მოახერხა გაქცევა. მაგრამ ისიც იმავე საღამოს დაიკავეს.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ მძარცველთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადრე ქურდობისათვის სამჯერ ნასამართლევი ვინმე „ჩორნა“, რომელსაც ადრენის ქუჩაზე საგანგებოდ ჰქონდა ბინა დაქირავებული. ამ ბინაში ხდებოდა ნაქურდალი ნივთების თავმოყრა, განაწილება და რეალიზაცია.

მძარცველთა „შეკაბ-ბინაზე“ (სახლის პატრონი ამალია ზაქაშვილი) მეთვალყურეობა დაწესდა და მალე პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა შეიპყრეს „ჩორნა“ — ავაჭალის ბაზტაციელის № 34 მცხოვრები — ვლადიმერ სამხარაძე, აგრეთვე ქურდობაში მისი თანამონაწილენი — იმავე ქისაამართზე მცხოვრებნი ბესიკ ყორიაული და გიორგი სიუკაევი, რომლებმაც ამ ინაში მიიტანეს ნაქურდალი ნივთები.

ჯარგად წარმართეს გამოძიება საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსმა ჯ. ინდაშვილმა და ოპერატიულმა მუშაკებმა, რომლებმაც ამ ხილეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ბინის 12 ქურდი, 4 ნაქურდალის გამაღებელი და ერთიც ქურდების ხელშემწყობი პიროვნება. მათ ჩვენს დედაქალაქში 23 ბინის გაჭრილდა დაუშტაკიცდათ.

ვინ არიან ისინი. ვინც სწავლასა და პატიოსან შრომას უსაქმოდ ხეტიალი, მძარცველობა — მოქალაქეთა პირადი ქონების ხელყოფა ამჯობინა, ვინც მისაბაძ ადამიანად ვინმე „ჩორნა“ — სხვადასხვა დანაშაულისათვის რამდენჯერმე ნასამართლევი პიროვნება აირჩია და ბრმად ასრულებდა მის ნება-სურვილს?

აი, ამ ჯგუფის წევრებიც:

თემურ სახვაძე 1958 წელს არის დაბადებული, მარშან დაამთავრა მე-10 საშუალო სკოლა, შემდეგ კი არც სწავლის გაგრძელებაზე უფიქრია და არც შრომაზე, დროს უსაქმურ ხეტიალში კკლავდა. და აი შედეგიც: მშობლთა უყურადღებობით გათამამებული თემური მძარცველთა რიგებში მოხვდა.

ჩვიდმეტიოდე წლისაა მერაბ კეთილაძე, მაგრამ მას მუდამ „დიდ ბიჭებთან“ მეგობრობა იტაცებდა, ისინი „ვაქკაცებად“ მიაჩნდა, მათსავით პაპიროსს ეწეოდა, მაგარ სასმელებს ეტანებოდა. იგი 132-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელია.

მე-10 საშუალო სკოლის მე-8 კლასის დამთავრების შემდეგ რვეაზ გვილავამ სწავლა მე-6 პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძო, რომ ავტოშემკეთებლის პროფესიას დაუფლებოდა. მაგრამ მალე სწავლაზე გული აიცრუა, გაურკვეველი პროფესიის ახალგაზრდებთან ურთიერთობამ და უმრომლად „სახარჯო“ ფულის შოვნამ გაიტაცა.

უსაქმურობამ, ჭიანში, ეგრეთწოდებულ „ბირჟაზე“ დგომამ მიიყვანა დანაშაულამდე პაატა თვალჭრელიძე. იგი მე-10 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელია.

მძარცველთა ამ ბრიგადის ერთ-ერთი აქტიური წევრი და ხელმძღვანელი ზურაბ ოზნერელი. მან შარშან დაამთავრა მე-10 საშუალო სკოლა, შემდეგ საავიაციო ტექნიკუმში აბარებდა გამოცდებს, მაგრამ ვერ ჩაბარა. შარშან ოქტომბერში ქარხანაში მოეწყო შეგირდად, მაგრამ ისე, სხვების თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა — იოლად ფულის შოვნის სურვილი ჰკლავდა. თავის ამხანაგს ბესიკ ყორიაულს გაანდო გულისნადები: უმრომლად „კარგი“ ცხოვრება თუ გინდა, მოქალაქეთა ბინები გავქურდოთო. ბ. ყორიაულმაც ვერ გაუძლო ცდუნებას და მათ რამდენიმე ბინა გატეხეს.

დანაშავეები მალე წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე და ღირსეულად დაისჯებიან. მაგრამ საინტერესოა, რას აკეთებდნენ მათი მშობლები, პედაგოგიური კოლექტივები, ნუთუ მათთვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ ეს ახალგაზრდები, ნუთუ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომელთა წევრებადაც ისინი ითვლებოდნენ, არ უნდა ემჯელათ ამ ახალგაზრდობაზე?! განსაკუთრებული საყვედური უნდა გამოითქვას მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიმართ, დანაშავეთა უმეტესობა ხომ ამ სკოლის კედლებში იზრდებოდა. ყოველივე ეს საფანაფო ორგანოების მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ა. კუნელაური,

თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

ქალაქის მომღერალი

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბ. ზახაროვის საიუბილეო სალამოზე

21 აპრილს თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, თეატრალურმა საზოგადოებამ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბლახო ზახაროვის დაბადების ხამოცდაათი და მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი აღნიშნეს, სალამოზე მოვიდნენ თბილისის კულტურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, სტუმრები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

დედამიწის ზურგზე თუ რომელიმე ქალაქმა თავისი საკუთარი ყაიდის სიმღერა შექმნა, ეს უწინარეს ყოვლისა თბილისზე თქმის. უხსოვარი დროიდან, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის აქ გადიოდა საქარავნო გზები და აქლემების ზანზალაკების ხმათა რხევაში ქართულ-უცხოურ პანგს თბილისი ქალაქურ კილო ტკბილ სიმღერად აყალიბებდა. თბილისმა იმ მითი-ამ მითი მინაბერ ჰანგებს ითმაგითვე საკუთარი ბალის ნაყოფი შეაგება, ათასწლოვანი შალაშინით გარინდა და მოაწახნაგა, ქართული ფარფინა-ლექსით შეაზავა და საკუთარ მიწაზე მძლავრად, სამუდამოდ დაამკვიდრა. იმის მერე მოდის და მოვიხის თათრის მეიდანი და ლეღვთა ხევი, ორთაჭალა, ავლაბარი და ხარფუხი. მღერის ქალაქურ სიმღერას. მოუსმენ და ათას კილოში გამოარჩევ, იტყვი — ეური დაუგდე: თბილისი მღერის, თბილისი გალობს, ქალაქური ხმა ისმის...

დღეს ეს სიმღერა დიმიდან ლოჭინის ხეკამდე მხრებში გაიშალა, მაგრამ სათავე მაინც მამადავითზე აქვს, აქედან ნარიყალას გასწვრივ მოემართება, შემერეული ციხის ქედლებიდან თავქვე ეშვება, თათრის მეიდანს გაივლის, მტკვარს გადასცურავს, მეტეხის ციხესთან ამოვა, თავს ავლაბარში ამოჰყოფს და იქიდან სოლოლაკსა და ვერას გახეფავს.

სწორედ ამ უბნებსა და ქუჩაბანდებს სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ შედედუკენი, საზანდრები და მეარღნეები ახმიანებდნენ. აშუღების სიმღერას ხალხი უსმენდა და ეწაფებოდა, აშუღი ქორწილების, დღეობა-ზეიმების ტიბეული სტუმარი იყო და, ასე გასინჯეთ, უამეოდ ზარი და ტირილიც არ იქნებოდა. მეტწილად ამ სიმღერებს სამ ენაზე მღეროდნენ ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულად.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ფასებია.

დღეს ამ ქალაქური ყაიდის მემკვიდრეებში თუ კი ჩაივლით ერთი ხმა შეგაჩერებთ, ერთ მომღერალს გამოარჩევთ — ეს გლახო ზახაროვია.

...1905 წელს, შავსოფლელი ჯონის ოჯახში ვაჟის შეძენა გაუხარდათ, გაიზრდება, მამის კვალზე წავა და ოჯახის ბარაქას ამრავლებსო, მაგრამ წამოჩიტულ ბიჭს მექუდობა სულაც არა ხიბლავდა. და გული აშუღებისაკენ და სიზანზრებისკენ ეძახდა: აღდგენებოდა, უსმენდა და სწავლობდა. ეს იყო იმისი სამუსიკო სკოლაც და აკადემიაც. დასანანია — აქაური ბევრი კარგი მასწავლებლის სახელი დრომ სამუდამოდ წაშალა. თუმცა არც ეგ არის მთლად მართალი, კარგი უსტაბაში ნიჭიერ შეგირდში ცხოვრობსო და რაკი ეგრეა, იმათი ხმა დღესაც გლახო ზახაროვის სიმღერაში ისმის. ზეციდ მომადლებულ ნიჭს და მეტადრე კი სიმღერისას ძნელად რომ რაღე წინ გადაუდგეს. ლამაზი, მოქნილი ხმა, შეგირდის თაკვდადაკვა, ჭკვიფო ბიტყველება, და გლახო 1926 წელს უკვე მედუდუკეთა დასტარია. მაშინ დასტა სამეულს ნიშნავდა — დამკვრელი, დამქაში და მედოლე ანუ ოგივე მომღერალი.

გლახო საიათ-ნოვასა და ეითიმ-გურჯის სიმღერებს ასრულებს. რატომ მღერის ცოტა თავისებურად, გამორჩეულად? იმიტომ, რომ თუ შენებური არ გაუჩია, პანტის ჩირის საღირალიც არ იქნება... ორა, მთავარს უნდა გაუფრთხილდე, მაგრამ ზოგი შენიც უნდა თქვენ — ახსნის და სიტყვაც ისე როგორც სიმღერა დარბაისლურ-ქალაქური აქვს.

წლნელა ის დროც დგება, როცა გლახო ზახაროვი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარია. წვეულება-ზეიმებში სახელი მოუტანეს და მომღერალიც პროფესიულ ესტრადაზე მიიწვიეს, ფილარმონიული კონცერტები, რადიოგამოსვლები, გასტროლები. გლახოს ცხოვრებაში ახალი დრო დგება. საქართველოს ქალაქები და სოფლები, რუსეთი და უკრაინა, ციმბირი, ურალი, შორეული აღმოსავლეთი ტაშს უკრავს ამ მეტად კოლორიტული მომღერლის ხელოვნებას. 1938 წელს ვასო გოგიაშვილთან, ოლია დოლიძესთან. ნონა გუნიასთან ერთად გამოდის მოსკოვში, ესტრადის მსახიობთა პირველ საკავშირო კონკურსზე. ყველგან ტაში და დიდი მოწონება და კიდევ ცოტა გაოცებაც, რადგან ამ ყაიდის მომღერლებთან შეჯარებით მისი ხმა და შესრულების კილო კლასიკური ვოკალის ფერებსაც ატარებს.

„ორთავ თვალს სინათლეკ“ — მღერის გლახო, და გჯერა მისი სიყვარულისა, ის ძალერია, სულს შემძვრელი, ვეკაციური და თანაც ნაზი, სიტყვა მკაფიო და განცდა ხალასი — „რაზედ მოგიწყენია? — ბნელს ეზიავ განმნათე, სანამ დრონი შენია“... — „მითხარ, მითხარ, რას მემდური, შენი სულისა“ — ალბათ სატრფო უპასუხოდ არ დატოვებს, მაგრამ ჯერ იმედი არ არის და კვლავ ქვითინებს მომღერალი — „კარგი იყო არ გამეცნე თავიდან. შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდან“ — კვნესის თარი, ღუღუნებს დუდუკი და იცრემლება გულდამწველად ბაიათი: თუ შეყვარებული არა ხარ, ბაიათი არ იმღეროო, იტყვის გლახო, რადგან ბაიათი უცხოთა ენაზე შეუყვარებელს ნიშნავს.

... ორმოცდაერთში, როცა სამშობლოს ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, გლახომ დოლი შეუფუთა, მაზარა გადაიცვა და ფრონტზე წავიდა და როცა გამოდგა, დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ანსამბლში, რომელსაც კირილე პაჭორია ხელმძღვანელობდა.

1960 წელს ერევანში საიათ-ნოვას სახელობის კონკურსზე გლახო ზახაროვმა პირველი პრემია დაიმსახურა და კონკურსის ლაურეატი გახდა.

წლები გადის და მის ხმას სიბერეც არ აკლდება. დღესაც ისევე, როგორც ნახევარი საუკუნის მანძილზე თავს იკლავს სიმღერას და სიხარული მოაქვს. მოუსმენ და ათას ჯანგში გამოარჩევ, იტყვი: ეური დაუგდე, გლახო მღერის, გლახო გალობს, გლახოს ხმა ისმის.

ზ. რცხილაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ 15 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢ